

სკოპინგის დასკვნა N 8

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანა

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: თერჯოლის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 06.03.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „ჯეოკონი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ (ს/კ 215147874) მიერ, წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანის სკოპინგის ანგარიში.

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების ქარხანაზე 2008 წლის 17 ოქტომბერს გაცემულ იქნა N36 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2013 წლის 24 მაისის N29 ბრძანების საფუძველზე, გაიცა N19 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე), ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა N36 (17.10.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2019 წლის 17 ივნისს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ „ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და აგლომერაციის უბნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულ იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-552), რომლის თანახმად, წარმადობის გაზრდის შედეგად, საწარმოს მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში გამოშვებული იქნება: 17820 ტონის ნაცვლად, **23760 ტონა ფეროსილიციუმი**, 28380 ტონის ნაცვლად, **34650 ტ ფეროსილიკომანგანუმი**, ასევე 28380 ტონის ნაცვლად **34650 ტ ფერომანგანუმი**.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 24 ნოემბრიდან - 8 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ კუთვნილ ფეროშენადნობების საწარმოზე 2019 წლის 17 ივნისის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-552) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის

გეგმიური შემოწმება. ობიექტის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანია არ უზრუნველყოფს 2019 წლის 17 ივნისის N2-552 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. ასევე, გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების და ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^ა მუხლის პირველი ნაწილით და 79^ბ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N073056 ოქმი, ხოლო ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N073057 ოქმი.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების) ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის ალტერნატივა, საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის და ტექნოლოგიური ალტერნატივები. ფეროშენადნობების საწარმოს ადგილმდებარეობის შერჩევასა და გარემოსდაცვითი, ტექნიკურ და ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით, საწარმოო ხაზის გაფართოებისთვის უპირატესობა მიენიჭა არსებული საწარმოს მომიჯნავედ მდებარე, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ათვისებას. სკოპინგის ანგარიშში, ასევე განხილულია საპროექტო ეგზ-ის ტიპის ალტერნატიული ვარიანტები, რომელთა ურთიერთშედეგების საფუძველზე, გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა საჭაერო ეგზ-ის გაყვანას, რომლის დერეფანი გაივლის ანთროპოგენურად დატვირთულ ტერიტორიებზე და მიუყვება საერთაშორისო მნიშვნელობის (E60 თბილისი-სენაკი-ლესელიძე) საავტომობილო გზას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, არსებული ფეროშენადნობების საწარმო განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირდელეში შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.04.37.327; ს/კ 33.04.37.321). არსებული საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 440 მეტრის დაშორებით. დოკუმენტში წარმოდგენილი სქემატური ნახაზის მიხედვით, ახალი ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი და ფეროსილიციუმი) ხაზის მოწყობისთვის გათვალისწინებულია არსებული საწარმოს მომიჯნავედ მდებარე 16387 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 33.04.37.651) ათვისება, რომელიც შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ საკუთრებაშია. ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის ტერიტორიიდან (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან) უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილი შეადგენს 290 მეტრს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია: საწარმოო კორპუსი (ღუმელები, კაზმის უბანი, საჩამომსხმელო უბანი, პროდუქციის სამსხვრევ-

დამხარისხებელი უბანი); სეპტიკი; აირმტვერგაწმენდის უბანი; ლაბორატორია; სასადილო; ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების სისტემა; სატრანსფორმატორო; კონცენტრატის საწყობი; ელექტროდული მასის სამსხვრევი; მეორადი წიდის, კირქვისა და კვარციტის სამსხვრევი ხაზი; კირქვის საცრელი კვანძი; დაჭერილი მტვრის განთავსების ტერიტორია; სალექარი; კონცენტრატის საწყობი; კირქვისა და კვარციტის საწყობი; კონცენტრატის საწყობი; მეორადი წიდის საწყობი; დაფასობული პროდუქციის საწყობი; ქვანახშირის საწყობი; კოქსის საწყობი; სასათბურე მეურნეობის სარეზერვო საქვაბე; წიდის დამუშავების უბანი; ბრიკეტირების უბანი; სამშენებლო ბლოკების მომზადების უბანი; აგლომერაციის უბანი; სასათბურე მეურნეობა; მექანიკური საამქრო; საჩამომსხმელო საამქრო ორი ერთეული (თითოეული 0,5 ტ/სთ წარმადობით) ინდუქციური ღუმელით; ავტომობილების შემკეთებელი ორი ერთეული ბოქსი.

არსებული მდგომარეობით, საწარმოს მაქსიმალური წლიური წარმადობაა **34650 ტ ფეროსილიკომანგანუმი, 34650 ტ ფერომანგანუმი, 23760 ტ ფეროსილიციუმი**. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოში დაგეგმილია ახალი ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი და ფეროსილიციუმი) ხაზის მოწყობა, სადაც გამოყენებული 2 ერთეული **8 მგვტ. სიმძლავრის ღუმელი**. დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, საწარმოს მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში, წლიურად გამოშვებული იქნება **51150 ტ ფეროსილიკომანგანუმი, 51150 ტ ფერომანგანუმი, 33660 ტ ფეროსილიციუმი**. არსებული მდგომარეობით, საწარმო ფუნქციონირებს წელიწადში 330 დღე (7920 სთ), 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს საწარმოს სამუშაო დროის ცვლილებას. დღე-ღამის განმავლობაში საწარმოში (მათ შორის ახალი ტექნოლოგიური ხაზში) გამოშვებული იქნება **155 ტ (105 ტონის ნაცვლად) ფეროსილიკომანგანუმი, 155 ტ ფერომანგანუმი (105 ტონის ნაცვლად) და 102 ტ (72 ტონის ნაცვლად) ფეროსილიციუმი**.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ახალი ტექნოლოგიური ხაზისთვის 8 მგვტ სიმძლავრის ღუმელებთან ერთად, მოეწყობა შემდეგი: კაზმის მიწოდების უბანი, 2 ერთეული წიდის მოხსნის უბანი, 2 ერთეული საჩამომსხმელო მულდების უბანი და 2 ერთეული წიდის დროებითი დაგროვების უბანი, ასევე, 2 ერთეული ღუმელის ტრანსფორმატორი, ღუმელის მართვის ჯიხური, ციცხვების მომსახურების უბანი, 2 ერთეული ხიდურა ამწე, ელექტრო გამანაწილებელი კვანძი, სატუმბო სადგური (შხეფმაცივრით), 2 ერთეული მტვერგამწმენდი სისტემის მილგაყვანილობა, ორი მტვერგამწმენდი სისტემის ავარიული სარქველი, ორი მტვერგამწმენდი სისტემის ნაპეწკალჩამქრობი, ორი მტვერგამწმენდი სისტემის ფილტრები და ორი მტვერგამწმენდი კვამლგამწოვი სისტემა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში შეიცვლება წარმოებაში გამოსაყენებელი ნედლეულის რაოდენობები, კერძოდ:

ფეროსილიკომანგანუმის შემთხვევაში წლიურად გამოყენებული იქნება: **127875 ტ მანგანუმის კონცენტრატი** (86625 ტონის ნაცვლად), **25575 ტ კოქსი** (17325 ტონის ნაცვლად, **ნახშირი 23017**

ტ (15840 ტონის ნაცვლად), **7673 ტ რკინის ხენჯი** (5198 ტონის ნაცვლად), **კირქვა 17903 ტ** (12128 ტონის ნაცვლად).

ფერომაგანუმის შემთხვევაში წლიურად გამოყენებული იქნება: **153450 ტ მანგანუმის კონცენტრატი** (95287 ტონის ნაცვლად), **30690 ტ კოქსი** (20790 ტონის ნაცვლად), **14322 ტ ნახშირი** (9702 ტონის ნაცვლად), **12787 ტ რკინის ხენჯი** (8662 ტონის ნაცვლად), **33248 ტ კირქვა** (22523 ტონის ნაცვლად).

ფეროსილიციუმის შემთხვევაში წლიურად გამოყენებული იქნება: **25245 ტ კოქსი** (17820 ტონის ნაცვლად), **60588 ტ კვარციტი** (35640 ტონის ნაცვლად), **16830 ტ ნახშირი** (11880 ტონის ნაცვლად), **16830 ტ რკინის ხენჯი** (11880 ტონის ნაცვლად), **10098 ტ კირქვა**, (7128 ტონის ნაცვლად), **16830 ტ ხის ნაფოტი** (11880 ტონის ნაცვლად).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ახალი ტექნოლოგიურ ხაზში გამოყენებული იქნება არსებული საწარმოს სასაწყობო ინფრასტრუქტურა (ნედლეულისა და დამხმარე მასალების საწყობები), ასევე წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებით, 2 ერთეული 8 მგვტ სიმძლავრის ღუმელში დნობის პროცესის დროს წარმოქმნილი მტვრის დაჭერისა და გაწოვისთვის დამონტაჟდება ორი მტვერდამჭერი სისტემა. თითოეული სისტემა შედგება სახელოიანი ფილტრისაგან, ციკლონისგან, გამწოვი დანადგარისა და გამფრქვევი კონსტრუქციისგან. წარმოდგენილი ინფორმაციის, ერთი სისტემის მიერ გაწოვილი ჰაერის მოცულობა შეადგენს 8000 მ³/სთ-ს. მტვერდამჭერი სისტემიდან ატმოსფერულ ჰაერში გაწმენდილი აირების გაფრქვევა მოხდება 1120 მმ დიამეტრის მქონე ღიობის ფორმის კონსტრუქციით. მტვერდამჭერი მოწყობილობების ფილტრები პერიოდულად გაიწმინდება მტვრისაგან, მტვრის დაცლა მოხდება სპეციალურ ტომრებში და განთავსდება შესაბამის სასაწყობო ბაქანზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წყალი საწარმოში გამოიყენება საწარმოო და სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის. საწარმოო მიზნით წყლის გამოიყენება ხდება ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაგრილებისათვის, სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებში (სველი მეთოდის გამოყენებით); წიდის გრანულირების უბანში; სასათბურე მეურნეობის გათბობის სისტემაში; ბლოკის დამზადების უბანზე ბეტონის ნარევის მოსამზადებლად; აგლომერაციაში ნედლეულის დასანამად; ავტოსამრეცხაოში და მშრალ ამინდებში ტერიტორიის მოსარწყავად. საწარმო წყალაღებას ახორციელებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტიდან. ზედაპირული წყლის აღება ხდება ტერიტორიასთან არსებული უსახელო ღელედან (მდ. ყვირილას აუზიდან), ხოლო სასმელ-სამეურნეო წყლის მიღება ხორციელდება საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან. საწარმოში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებული იქნება არსებულ ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობაზე. სადაც გაწმენდის შემდეგ, ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება უსახელო ღელეში, რომელიც ერთვის მდ. ყვირილას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსალოდნელია როგორც საწარმოო, ასევე სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ხარჯის რაოდენობრივი ცვლილება, კერძოდ: ღუმელებისა და ტრანსფორმატორის

წყლით გაციების მზრუნავ სისტემაში წყლის ხარჯი (ახალი ღუმელების დამატების ხარჯზე) გაიზრდება 11880 მ³/წელ-დან 18480 მ³/წელ-მდე. ხოლო, წყლის ხარჯი სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გაიზრდება 5550,5 მ³/წელ-დან 7232,75 მ³/წელ-მდე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არსებული საწარმოს ელ. მომარაგება ხდება ე.წ. „ახალი ხალცედონის“ ქვესადგურიდან. ახალი საწარმოო ხაზისთვის (2 ერთეული 8 მგვტ. სიმძლავრის ღუმელისთვის) საჭირო იქნება დამატებით ელექტროენერჯიის მიწოდება, რისთვისაც დაგეგმილია „ქუთაისის-220“-ის და „ახალი ხალცედონის“ ქვესადგურების ერთმანეთთან დაკავშირებისთვის, **110 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ის გაყვანა**. საპროექტო ეგხ-ის დერეფანი გაივლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საზღვრებში კერძოდ, სოფ. ნახშირღელეს, სოფ. ჭოგნარისა და სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიებზე. სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ საპროექტო ეგხ-დან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილი შეადგენს 260 მეტრს. წარმოდგენილი shp ფაილების და GPS კოორდინატების გადამოწმების შედეგად, საპროექტო ეგხ-ის საყრდენი ანძის (GPS კოორდინატები: X - 318818.65, Y - 4676085.11) განთავსების ადგილსა და უახლოეს მოსახლეს შორის მანძილი შეადგენს დაახლოებით 120 მეტრს. შესაბამისად, **აღნიშნული საკითხების დაზუსტებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში**.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ-ის სიგრძე შეადგენს 7,522 კმ-ს. ეგხ-ის დერეფანში მოეწყობა 34 ერთეული საყრდენი ანძა (მათ შორის: 2 ერთეული Y110-3, 6 ერთეული Y110-3+5, 1 ერთეული YC110- 3, 1 ერთეული YC110-3+14, 6 ერთეული Y110-4+5-3TP, 2 ერთეული Y110-2+14-3TP, 1 ერთეული AYT-30T, 6 ერთეული ΠC110-9, 9 ერთეული ΠC110-5), საიდანაც 19 ერთეული იქნება კუთხურ-ანკერული ტიპის, ხოლო 15 ერთეული - შუალედური ტიპის. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ეგხ-ის დერეფნის სქემატური ნახაზები და საყრდენი ანძების GPS კოორდინატები. ეგხ-ის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X - 318818.60, Y - 4676085.32; X - 312367.48, Y - 4673166.29. ეგხ-ის საწყისი წერტილი მდებარეობს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირის ტერიტორიაზე მდებარე ქვესადგურის („ქუთაისი 220“) ტერიტორიაზე. აღნიშნული ქვესადგურიდან, ეგხ-ის დერეფანი მიემართება მდ. წყალწითელსასკენ, გადაკვეთს მის კალაპოტს და მიუყვება საერთაშორისო მნიშვნელობის (E60 თბილისი-სენაკი-ლესელიძე) საავტომობილო გზის (ს-1) დერეფანს, სოფ. ჭოგნარის მიმართულებით, რის შემდეგაც დერეფანი კვეთს ბროლის ქედს და მიემართება აღმოსავლეთის მიმართულებით, გადაკვეთს მდ. ჭიშურას ხეობას და სოფ. ნახშირღელეში უერთდება ქვესადგურ „ახალ ხალცედონს“. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის დერეფანი გადაკვეთს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, საავტომობილო გზას, რკინიგზას, ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებს, ასევე 10 კვ, 35 კვ, 110 კვ და 220 კვ ძაბვის ეგხ-ებს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში არ იქნება საჭირო ახალი მისასვლელი გზების მოწყობა და არც არსებული გზების რეაბილიტაცია.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, ხმაურის გავრცელებასთან, ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებასთან, ასევე ბიომრავალფეროვნებაზე და მიწის საკუთრების გამოყენებაზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებიდან, კერძოდ: სადნობი ღუმელებიდან, ნადნობის ჩამოსხმის უბნიდან, კაზმის მომზადების უბნიდან; პროდუქციის სამსხვრევ-დამხარისხებელი უბნიდან, ასევე ფილტრებში დაჭერილი მტვრისა და ციკლონებში დაჭერილი მტვრის ჩამოცლის დროს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არც ერთი მავნე ნივთიერებისა და ჯამური ზემოქმედების არც ერთი ჯგუფის მიმართ დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაანგარიშებული მაქსიმალური კონცენტრაციები არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის შედეგად საწარმოში მოხდება ახალი გაფრქვევის წყაროების დამატება, რაც გამოიწვევს ატმოსფერულ ჰაერზე დამატებითი უარყოფითი ზემოქმედებას, ამასთან ადგილი ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ არსებულ საწარმოსთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მასშტაბი, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით და წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები, შესაბამისი დასაბუთებით.

ახალი ტექნოლოგიური ხაზის განთავსება მოხდება ანთროპოგენურად დატვირთულ ტერიტორიაზე, სადაც წარმოდგენილი არ არის მნიშვნელოვანი ჰაბიტატები. პროექტის გათვალისწინებული ეგზ-ის გაყვანა დაკავშირებული იქნება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან, განსაკუთრებით ზემოქმედების ძირითად რეცეპტორს წარმოადგენენ ფრინველები და ხელფრთიანები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზშ-ის ეტაპზე შეფასებული იქნება ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების მასშტაბი და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მოსალოდნელია, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი წიდების გამდიდრება გათვალისწინებულია მტვერდამჭერ მოწყობილობებში დაჭერილი მტვრით, რაც გაზრდის წიდების ფეროშენადნობის წარმოებაში გამოყენების რაოდენობრივ მაჩვენებელს და შეამცირებს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობას. აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდება მტვრის სრული და წიდის ნაწილობრივი (80-85%) გაუვნებლობა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვები გაიმართა 2023 წლის 29 და 30 მარტს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირღელეს, სოფ. ჭოგნარისა და სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“, შპს „ჯეოკონის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვის ფარგლებში, ადგილობრივების მხრიდან, ყურადღება ძირითადად გამახვილდა ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის და ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელ კუმულაციურ ზემოქმედებაზე, განსაკუთრებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე, ხმაურისა და სუნის გავრცელებაზე. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან საჯარო განხილვებზე აღინიშნა, რომ დაგეგმილი საქმიანობა გააუარესებს არსებულ გარემო პირობებს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, შპს „ჯეოკონის“ წარმომადგენლის განმარტებით, საქმიანობის განხორციელება მოხდება იმგვარად, რომ დაცული იყოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები და ზიანი არ მიადგეს ადგილობრივ მოსახლეობას. განხილვებზე ასევე „ჯეოკონის“ წარმომადგენლის მიერ აღნიშნა, რომ გზმ-ის ეტაპზე მოხდება სხვადასხვა კვლევების ჩატარება და გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების დეტალური შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. მისი განმარტებით, განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ნაწილში დაიგეგმება და განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დანერგვა. საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები დეტალურად აისახა საჯარო განხილვების ოქმებში. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლების მიერ, მოხდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დეტალური დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდის და ეგზ-ის მოწყობის) ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
 - საწარმოს არსებული და საპროექტო ტერიტორიის აღწერა, მათ შორის საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ი და GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად;
 - საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია (გადაკვეთის ტექნიკური გადაწყვეტების მითითებით).
 - ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოქმედების არეალში მოქცეული კერძო საკუთრებების მფლობელებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - საპროექტო ეგზ-ის სიგრძის, საპროექტო მონაკვეთში საყრდენი ანძების რაოდენობის შესახებ, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების დეტალური აღწერა;

- საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი;
- ეგზ-ის საპროექტო დერეფნის და დაცვის ზონის (ბუფერის) Shp ფაილები და ეგზ-ის საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები. ეგზ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- დაზუსტებული მანძილები საწარმოს არსებული და საპროექტო ტერიტორიიდან, მათ შორის ეგზ-ის დერეფნიდან (ასევე ბუფერიდან) უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე (მდებარეობის მითითებით). მანძილები მითითებული უნდა იქნეს, როგორც საკადასტრო საზღვრებიდან, ასევე საწარმოო ხაზიდან;
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიიდან სიახლოვეს, არანაკლებ 500 მეტრის რადიუსში არსებული ნებისმიერი ტიპის სამრეწველო, მათ შორის საპროექტო საქმიანობის ანალოგიური, ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილებისა და საქმიანობის მითითებით);
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების (დაცვის) შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანით) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ.
- ეგზ-ის დერეფნიდან და დაცვის ზონიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე დატანით);
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის გამანაწილებელ ქსელთან დაერთების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტის მითითებით;
- საწარმოში არსებული საქმიანობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა (შესაბამისი თანმიმდევრობით, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე), სქემატური ნახაზების მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საწარმოს განახლებული გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმოს დანადგარები, დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტექნოლოგიური უბნები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია არსებული/დაგეგმილი წარმადობის და საწარმოს (საათური, დღიური, წლიური) და სამუშაო რეჟიმის შესახებ;

- ინფორმაცია საწარმოში წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ტიპისა და რაოდენობის შესახებ, როგორც არსებული მდგომარეობით, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილისა და პირობების შესახებ;
- ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის დასაწყობების შესახებ, როგორც არსებული მდგომარეობით, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია გაზრდილი რაოდენობის ნედლეულის განთავსების უზრუნველყოფის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის-პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით);
- ნედლეულის-პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- ინფორმაცია საწარმოს არსებული და საპროექტო მტვერდამჭერი სისტემის შესახებ, მტვერდამჭერი სისტემის პარამეტრების (საკვასპორტო მონაცემების) მითითებითა და ეფექტურობის დასაბუთებით;
- ამასთან ინფორმაცია მტვერდამჭერი სისტემის ტექნიკური გამართულობის კონტროლის, პარამეტრების დაცვის, მათ შორის სახელოიანი ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ;
- ინფორმაცია მტვერდამჭერში დაგროვილი მტვრის მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (რაც მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების მიმართულებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის დასადგენად);
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა, ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ინფორმაცია ობიექტების სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და სახანძრო წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;

- ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ უზენბზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სანიაღვრე წყლების არინებისთვის არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურის შესახებ. ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ახალ ტექნოლოგიურ ხაზში სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- საწარმოს ფუნქციონირების დროს მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის, საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების/ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ტერიტორიის სარგებლობის ან/და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საწარმოში არსებული მდგომარეობით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.
- **ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესის თანმდევი წიდის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია:**
 - არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზებიდან წარმოქმნილი წიდის დაზუსტებული რაოდენობის შესახებ;
 - წიდისთვის ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ;
 - დროებითი დასაწყობების ადგილისა და დასაწყობების პირობების შესახებ;
 - დაზუსტებული ინფორმაცია წიდის გასაცვივებელი ორმო(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ (ტიპი, მოცულობა, მოწყობის ტექნიკური გადაწყვეტა);
 - წიდის შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი წიდის საწარმოო ცილში გამოყენების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
 - დაზუსტებული ინფორმაცია შენადნობისა და წიდის გაგრილების ტექნოლოგიის შესახებ (ბუნებრივად, სხვადასხვა საშუალებების ზეწოლით);

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის

მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);

- ეგზ-ის საყრდენისათვის საჭირო მიწის ფართობის, საძირკვლების და მოხსნილი გრუნტის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილ(ებ)ის შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მათი მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია;
- ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- მისასვლელი გზების მოწყობის შესახებ ინფორმაცია, საპროექტო გზების შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით). ამასთან, მოცემული უნდა იყოს აღნიშნული გზების მოწყობასთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ.

4.2 დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკისა და მისი განთავსების ადგილის შესახებ, მათ შორის:

- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის შესახებ, ბანაკ(ებ)ის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მითითებით;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის დაზუსტებული ლოკაცია (shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით), ამასთან დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ლოკაციის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები (მოწყობის შემთხვევაში);
- მოცემული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ისთვის შერჩეული ტერიტორიის აღწერა (მოწყობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით (მოწყობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (მოწყობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხები (მოწყობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე საწვავის შესანახი რეზერვუარის განთავსების შესახებ ინფორმაცია, რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების მითითებით (მოწყობის შემთხვევაში).

4.3 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- ზემოქმედება გრუნტის წყლებზე;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მდ. ყვირილას მარჯვენა ფერდობზე, ქუთაისის შემოვლითი მაგისტრალის მიმდებარედ, ფიქსირდება აქტიურ დინამიკაში მყოფი მეწყრული სხეული (25.8 ჰა), აღსანიშნავია, რომ სწორედ მის სიახლოვეს 40-50 მ-ში იგეგმება ანძების (№27, 28) მოწყობა. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა მოხდეს მოცემული საკითხის გათვალისწინება.

4.4 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ელექტრო გადამცემი ხაზის და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, სახეობების მიხედვით რაოდენობის და მოცულობის მითითებით;
- გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, ფრინველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, ასევე მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად.
- ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, შესაბამისად განახლდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება

ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი'

- მონიტორინგის გეგმაში დამატებით უნდა აისახოს ინფორმაცია ფრინველების სიკვდილიანობაზე (როგორცაა მაგალითად ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა), ასევე დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;

5. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით მოცემული უნდა იყოს;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები და გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ღონისძიებების დეტალური აღწერილობა;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის შესახებ ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ (ხმაურის ყველა წყაროს გენგეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;

- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე (დაბინძურების რისკები) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მნიშვნელოვანია, გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია მოცემული იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- 2019 წლის 17 ივნისის N 2-552 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და საწარმოში არსებული მდგომარეობის შედარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განსაზღვრულ პირობებთან, პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების შესახებ ინფორმაცია;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების (წარმადობის გაზრდა) ცვლილების და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, გაცემული N80 (ტექნოლოგიური ნარჩენი, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“, 07. 10. 2022 წ., ვადა - 6 წ.) და N100165 (კირქვა, შპს „მოზაიკა“, 09. 09. 2008 წ., ვადა - 20 წ.) ლიცენზიების კონტურებს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორია კვეთს აჯამეთის ქალცედონისა და ფარნალის კირქვის საბადოების კონტურებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული საქმიანობის ანალიზი;
- საპროექტო ეგზ-ის და ფეროშენადნობების მიმდებარედ ანალოგიური პროფილის ობიექტების არსებობის გათვალისწინებით და საკითხის დეტალური ანალიზის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე უნდა მოხდეს კუმულაციური ეფექტის გამომწვევი ყველა წყაროს იდენტიფიცირება, განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული/საპროექტო საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური

ზემოქმედების მნიშვნელობა და წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის დასაბუთებით;

- გზმ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით წიდის დასაწყობების ადგილის საკმარისობის და წიდის საბოლოო განთავსების, მათ შორის წიდის მართვის სხვადასხვა ალტერნატიული გზების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოში ამჟამად არსებული წიდის რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი წიდის გამოყენება დაგეგმილია საპროექტო საწარმოში, ნედლეულის სახით. წიდის საწარმოო ციკლში შემდგომი გამოყენების საკითხი საჭიროებს დეტალურ განმარტებას/დასაბუთებას;
- გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის მტვრის არაორგანიზებული გაფრქვევის პრევენციის მიზნით გზმ-ის ეტაპზე განხილული უნდა იქნეს მასალების დახურული საწყობის, ასევე მასალების საწარმოსთვის მიწოდების დახურული სისტემის მოწყობის შესაძლებლობა, ხოლო განუხორციელებლობის შემთხვევაში სათანადო დასაბუთება;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების მართვის საკითხების დეტალური აღწერა;
- კაზმის შემადგენლობაში ერთ–ერთ ნედლეულად გათვალისწინებულია ე.წ. „რკინის ბურბუშელა“. ე.წ. „რკინის ბურბუშელა“ მეტალის დამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენს წარმოადგენს. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული ნარჩენის კოდი და დასახელება, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის მიხედვით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წიდის და ფოლადის ბურბუშელის (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ.
- გზმ პროექტში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წიდისა და სხვა ნარჩენების დროებით დასაწყობების მეთოდებისა და პირობების შესახებ, რომელიც შესაბამისი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს შერჩეული სახელოიანი ფილტრის, ციკლონის, გამწოვი დანადგარის, გამფრქვევი მილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ღიობის სისტემების სრული დასაბუთება/აღწერა, ეფექტურობის მითითებით;

- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნავთობდამჭერის მოწყობა, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაგებობის აღწერა, ეფექტურობის და ტევადობის მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა განისაზღვროს რამდენად შეცვლის დაგეგმილი წარმოება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საერთო ფონს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მითითებული უნდა იქნეს რა სახის ღონისძიებებს დაგეგმავს და განახორციელებს კომპანია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- არსებული და საპროექტო საწარმოების ექსპლუატაციის შედეგად სუნის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - „საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილბახთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.
- ვინაიდან საპროექტო 110 კვ ეგზ-ის გაყვანა დაგეგმილია საერთაშორისო მნიშვნელობის (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) საავტომობილო გზის (ს-1) მიმდებარედ, შესაბამისად, აღნიშნული გზმ-ის ეტაპზე შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. დეპარტამენტის ცნობით, საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიაზე“ გაცემული ტექნიკური პირობები (2023 წლის 13 აპრილის № 2-03/5650 წერილი)

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანაზე **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.

გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.